

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

გაზეთი 24 საათი

სამგაბათი, 17 თებერვალი, 2004 წელი. №39 (588)

ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

არჩევნები და ლეგიტიმარობა

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების არჩევნების თემა სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ოპოზიცია არჩევნებს ითხოვს, ოფიციალური და მისი მხარდამჭერები კი მათ ინიციატივას მხარს არ უჭერენ. ხალხი და არგუმენტები ორივე მხარეს საკმარისია, მაგრამ ოქროს შუალედის გამოხატვა, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება.

A2

ეკონომიკა

ხელისუფლება პურის ფასს არაბეჭდვას

საქართველოში პურის ფასის ზრდა მოსალოდნელი არ არის - ასეთ განცხადებას აკეთებდნენ გუშინ სოფლის მეურნეობის სამინისტროში. ამ განცხადებას აკეთებდნენ მიუხედავად იმისა, რომ რეალურად პურის ფასმა საქართველოში უკვე მოიმატა - დაახლოებით, ათი თეთრით.

A4

უცხოეთი

პუტინს ყაბარძი მოხედარ აფეთქებაში ადასაბულებანი

გაზეთ "ობზერვერის" ინტერნეტ-გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში ნიკ პუტინის ვოლში გამოთქვამს ვარაუდს ჩეჩნეთის ყოფილი პრეზიდენტის ზელიმხან იანდარბიევის მკვლელობაში რუსული სპეცსამსახურების მონაწილეობის შესახებ. ამასთან, იგი მიანიშნებს, რომ ამ ოპერაციის შესახებ აშშ-შიც იცოდნენ.

A5

სამართალი

ადვოკატები სამართალდაცვალებას კანონს ახსენებენ

"ჩვენ - ადვოკატები ვერთიანდებით და ვეძინით საკოორდინაციო საბჭოს შემდგომი ორგანიზებული მოქმედებებისთვის", - ეს განცხადება გუშინ სახალხო დამცველის ოფისში გაკეთდა, სადაც ბოლო პერიოდში დაკავებული, თითქმის, ყველა მაღალჩინოსნის ინტერესთა დამცველები იმყოფებოდნენ.

A8

საზოგადოება

იქნებ ახლა მინც მოგვაქცევს ვინმე ყურადღებას

წყნეთელების თქმით, მეფარიძემ თავისი ეზოს მოსაწყობად ეკლესიას გამოუთხარა ძირი და იქედან მოჭრილი მინით სახლის წინ მდებარე ხრამი ამოავსო. მისი ეზოს მოწყობას შეეწირა, ასევე, 2000 ძირი 30-წლიანი ნაძვიც.

A8

ანიონი

თბილისი	6	☁
ქუთაისი	6	☀
ბათუმი	8	☀
სოხუმი	2	☀
ფოთი	6	☀
თელავი	3	☁
ჯუბჯუბი	5	☀
ბორჯომი	1	☀
ახალციხე	4	☁
ჭიათურა	2	☀
ბაგრატი	2	☀
სამცხე-ჯავახეთი	6	☀

უცხოური ვალუტის
ოფიციალური კურსი
ლარიდან აშშ-დოლარამდე

აშშ დოლარი 2.0600
ევრო 2.6263
გირვანქა სტერლ. 3.8864
რუბლი 0.0723

სპეცოპერა

ბიორაზი ასანიშვილი

ისინი ოცნი არიან: მომავალი პრემიერ-მინისტრი, ოთხი სახელმწიფო მინისტრი და თვითმეტე მინისტრი. მათ საგანგებო მისია აკისრიათ და სპეცდავალაბა აქვე შესასრულებელი - ქვეყნის უკუსვლა უნდა შეაჩერონ და სოციალ-ეკონომიკური წინსვლა უზრუნველყონ. ოცეული დროში შეზღუდულია და სიტუაციის (ანუ, პრეზიდენტის და პარლამენტის) მძევალია: ვიდრე შეეცემა-დავალაბებს შეასრულებს, იარსებებს, ხოლო, როგორც კი სერიოზულ შეცდომას დაუშვებს, მას დაშლიან და "განადგურებენ": ახლახან მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად, სპეცოპერის დათხოვნა პრეზიდენტსა და პარლამენტსაც ყოველგვარი მოტივაციის გარეშე შეუძლია. ზურაბ ჟვინავის პოლიტიკური გუნდს ჩვეულებრივი სპეცრაზმისგან მხოლოდ ის განასხვავებს, რომ მას დივერსიების მოწყობა და ვილაქების განადგურება კი არა, აღმშენებლობითი საქმიანობა ევალება.

ბაზრკალება A3 ბავრდუბა



სპეცოპერის პარლამენტის ვერდიქტის მოლოდინში.

რატომ დარჩა "კბზ" და არ შეიქმნა ქართული სპეცსამსახური

ლევან ღირსიაშვილი

უკვე მრავალი წელია, რაც ქართულ სპეცსამსახურებში დღის წესრიგში რეფორმების ჩატარების საკითხი დგას. მაგრამ, დღემდე "საქართველოს უჩინარი ფრონტის რაინდები" საბჭოური წესით და რიგით მოქმედებენ, რადგან ასეთი იყო ძველი ხელისუფლების და მისი მესაჭის ნება-სურვილი. დღეს საქართველოში ახალი რეალობაა. უშიშროების მინისტრადაც ახალგაზრდა კაცი ინიშნება. იმედია, რეფორმების გატარება კვლავ და უფრო აქტიურად დადგება დღის წესრიგში. თუმცა, ამჯერად გზა უკვე გაკალუღია. ახალი ველისიპედის გამოგონება საჭირო აღარ არის. რეფორმების კონცეფცია და გეგმა უკვე დაწერილია და ორი წელია, არსებობს. მისი ავტორი - უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე დავით ბაზაძე თავის დროზე სწორედ იმიტომ გადადგა თანამდებობიდან, რომ ეს რეფორმები არავის აინტერესებდა და "მათთვის" ხელისშემშლელი იქნებოდა. დღეს ბატონი დავითი "24 საათის" სტუმარია. უახლოეს მომავალში შემოგთავაზებთ ვრცელ ინტერვიუს ბატონ ვალერი ხაბურძანიასთან.

ბაზრკალება A6 ბავრდუბა



ვალერი ხაბურძანია და დავით ბაზაძე.

თავისუფლად! ქართულ ჯარს ამერიკელები წვრთნიან

ნესტან ნიქარაძე

ყველაფერი მარტივად, სატელეფონო საუბრით დაიწყო. საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ამერიკის შეერთებული შტატების ამჟამინდელ პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს დაურეკა და ქართული ჯარის წვრთნასა და აღჭურვაში დახმარების განევა სთხოვა. ამერიკის მხრიდან თანხმობას და დაინტერესებას სპეციალური პროგრამის შექმნა, პროგრამაში აშშ-ს უმაღლესი სამხედრო ორგანოს, თავდაცვის დეპარტამენტის ჩართვა და 64 მილიონი დოლარის ინვესტირებაც მოჰყვა. „საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა“ 2002 წელს დაიწყო და 2004 წლის მაისში დასრულდება. პროგრამა სპეციალურად საქართველოსთვის შეიქმნა და მის განხორციელებაში ამერიკის მხრიდან ევროპის საგანგებო ოპერაციების სარდლობის განკარგულებაში მყოფი არმიის სპეციალური ძალები, ხოლო ქართული მხრიდან თავდაცვის სამინისტრო მონაწილეობენ.

ბაზრკალება B6 ბავრდუბა



ნესტან ნიქარაძე

ვის ჰიბა შეაქვას სახელმწიფო ქონება?

ახალი ხელისუფლება სახელმწიფო საწარმოების მართვის სახლი სტილის შეფასებას მიღწეული შედეგების მიხედვით ითხოვს

თამარ ივანიძე

ახალი ხელისუფლების მიერ საქართველოს სახელმწიფო საწარმოების, კონკრეტულად კი, რკინიგზის, "მანქანების" და ფოთის პორტის მართვის "ახლებურ" მეთოდებთან დაკავშირებით გუშინ "24 საათში" გამოქვეყნებულ სტატიას საქართველოს ახალი ხელისუფლებისგან მეცხეული და ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ხელისუფლება ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ ეჭვები, რომლებიც რკინიგზისა და "მანქანების" მართვის ახალ სტილთან დაკავშირებით წარმოიშვა და რომლებიც გვიძულეს, გვათქმევინოს, რომ დღევანდელი ხელისუფლებისთვის ძველის მეთოდები და სურვილები, შესაძლოა, უცხო სულაც არ იყოს - უსაფუძვლოა.

ბაზრკალება A4 ბავრდუბა

ნათელაშვილის ცუდი სიზმარი, რომელიც წყალს არ ბაბანა

სოფო ბაქია

"ლებორისტული", იგივე "შრომის პარტიის" თავმჯდომარეს, ბატონ შალვა ნათელაშვილს უცნაური სიზმარი უნახავს, რომელიც მან გუშინ ჟურნალისტებს უამბო. ბატონი შალვა სიზმარში საქართველოს პრეზიდენტი ჯორჯ სოროსი ყოფილიყო, რომელიც საქართველოში თავის "ბოროტ საქმეებს" გენერალ-გუბერნატორ სააკაშვილის ხელით აზოროცილებდა. ეს უკანასკნელი უპირობოდ ასრულებდა გრძელეული სოროსის დავალებებს და ისეთი მთავრობა შეადგინა, მტრისა და ავისას... შინაგან საქმეთა მინისტრად "ბოროტი ახალგაზრდა კაცი" გიორგი ბარამიძე დანიშნა, რომელიც ბატონ შალვას ჯერ

ბაზრკალება A2 ბავრდუბა

სპეცოპერაციის ბუდაურში

დააკავეს გახმაურებულ დანაშაულში ეჭვმიტანილი

"დაკავებულია საშიში დამნაშავე, რომელსაც კარგა ხანია ვეძებდით და რომელიც ყოველთვის სასწაულებრივად ახერხებდა პოლიციელებისგან დასხლტომას", - ასეთ კომენტარებს აკეთებდნენ გუშინ "24 საათთან" საუბრისას ორი დღის წინათ დაბა გუდაურში ჩატარებული ოპერაციის მონაწილე სამართალდამცველები, რომლებმაც სამი ადამიანის მკვლელობის მცდელობისთვის დააკავეს.

მცხეთა-მთიანეთის სამხარეო პოლიციის, დაბა გუდაურის, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთისა და თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ოპერაციისას დაკავებული იოსებ ჯოხაძე უკვე ორთაქალის მესხეთე საყურობილში იმყოფება. მას სამი ადამიანის განზრახ მკვლელობის მცდელობისა და იარაღის უპირობოდ შეტენა-შენახვა-ტარების ბრალდებები წაუყენეს. საუბარია რამდენიმე თვის წინ სასტუმრო "საქართველოსთან" მომხდარ გახმაურებულ თავდასხმაზე.

ბაზრკალება A8 ბავრდუბა

სკანდინავიელი



ზურაბ ჟვანია და ნინო ბურჯანაძე დარბაზში დასწრეობენ დამტკიცებას.

პირველი გავრცელება

გუშინ ბიუროს სხდომაზე, მომავალი მინისტრთა კაბინეტის წევრები დეპუტატების წინაშე "გასაცნობად" წარდგინდნენ (შეხვედრას მხოლოდ ზურაბ ნოლაიდელი და გიორგი ბარამიძე არ ესწრებოდნენ). მათი სახელით, ძირითადად, ზურაბ ჟვანია საუბრობდა.

მომავალი პრემიერ-მინისტრის თქმით, ახალ მთავრობაში ბევრი ისეთი ადამიანი იქნება, რომლებიც "ნაციონალურ მოძრაობასა" და "გაერთიანებულ დემოკრატებს" დაკავშირებული არ ყოფილან.

"ისინი შევარჩიეთ არა პოლიტიკური, არამედ პროფესიონალიზმისა და პატიოსანების ნიშნით," - აღნიშნა ზურაბ ჟვანია. ეს იყო ერთგვარი პასუხი ფიქრია ჩიხრაძის შეკითხვაზე, თუ რა შეიძლება აერთიანებდეთ ადამიანებს, რომლებმაც ერთმანეთი, სულ რაღაც, ორიოდე დღის წინ გაიცილეს.

მომავალი მინისტრების ოცეული ბიუროს სხდომაზე საპროგრამო დოკუმენტის გარეშე წარდგა, ვინაიდან, ჟვანიას განმარტებით, მასზე მუშაობამ დიდი დრო მოითხოვა და პარლამენტარებისთვის დარიგება ვერ მოეხერხა. საპროგრამო დოკუმენტთან დაკავშირებით, მომავალი პრემიერი მხოლოდ იმას აცხადებს, რომ იგი ვერ ასცდა ეკლექტიზმს, რადგან მასზე ცალკეული პროცენტები ინდივიდუალურად მუშაობდნენ. ასეა თუ ისე, ზურაბ ჟვანია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მომავალი კაბინეტი პროგრამის თითოეულ პუნქტზე აიღებს ვალდებულებას.

როდესაც კაბინეტის წარდგინება დასრულდა და მინისტრობის კანდიდატებმა პარლამენტს დატოვეს, ერთი მათგანი ბიუროს სხდომას მაინც ბოლომდე შერჩა - ჯანდაცვის მინისტრობის კანდიდატს გივი წერეთელს ვიცე-სპიკერის სავარძელი ჯერ "არ ეთმობა". **"ირაკლი, ჩემი კანდიდატურის აცილებას ხვალინდელ სხდომაზე იქნებ შენ გაუწიო ორგანიზება?"** - პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ყველას გასაგონად, ხმაშლით სთხოვდა "დახმარებას" სოციალისტების ფრაქციის ლიდერს.

სპეცოცეულის მშვიდობიანად გაცილების შემდეგ, აღარაფერ ელოდა, რომ ბიუროს სხდომაზე სიტუაცია გამწვავდებოდა. მიუხედავად ამისა, გუშინდელმა შეკრებამ უხმაუროდ მაინც ვერ ჩაიარა. აზრთა სხვადასხვაობა ნინო ბურჯანაძის განცხადებამ გამოიწვია. მან დეპუტატებს სთხოვა, რომ რიგგარეშე სესიაზე მხარი დაუჭირონ იმ მწვავე დადგენილების დროებით შეჩერებას, რომელიც საკანონმდებლო ორგანომ, თავის დროზე, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის განცხადებასთან დაკავშირებით მიიღო.

"რატომ უნდა გავითვალისწინოთ რუსეთის ინტერესები? რა შეიცვალა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში? სააკაშვილის მოსკოვში ვიზიტის დროს რომელი საკითხი გადაწყდა საქართველოს სასარგებლოდ?" - აბოხოქრედა "ტრადიციონალისტი" გუბაზ სანიკიძე.

"რუსეთი არ შეცვლილა, მხოლოდ საქართველოში შეიცვალა

ხელისუფლება. როდესაც ნულოვან ვარიანტს ვიღებდით, მაშინაც გვევლინა, რომ რუსეთი საპასუხოდ რაღაცას დათმობდა, მაგრამ ასე არ მოხდა," - წარსულის მავალით გაიხსენა ფიქრია ჩიხრაძემ.

"ვინც ადრე გულზე მჯიღს იკრავდა და გაიძახოდა - ნახეთ, როგორი პროამერიკელი ვარო, ახლა უკვე რუსების მზეს იცივებს," - ოპოზიციონერ კოლეგებს მხარი აუბა ზვიად მუკბანიანმა.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება, რომ ახლა სხვა ვითარებაა და, თუ საქართველოს კეთილი ფესტი (დადგენილების შეჩერება) ოფიციალური მოსკოვის მიერ სწორად არ იქნება გაგებული, მაშინ დადგენილება ისევ ამოქმედდება, ოპონენტებმა არ შეისმინეს. ასე რომ, რიგგარეშე სესიის ისედაც რთულ დღის წესრიგს (მინისტრთა კაბინეტის დამტკიცება, ახალი რეგლამენტის მიღება, საარჩევნო კანონში ცვლილებების შეტანა, საკადრო საკითხები და სხვა) კიდევ ერთი "მუფუხალი" დაემატა.

სამაგიეროდ, ბიუროს გუშინდელ სხდომაზე მისმა წევრებმა ერთხმად მოიწონეს პარლამენტის აპარატის უფროსის თანამდებობაზე ნინო ბურჯანაძის მიერ ნამოყენებული გოჩა მარტინენკოს კანდიდატურა. ვალერი გელაბახიანმა, დავით სალარიძემ, ნოდარ გრიგალაშვილმა და ბეჟან გონაშვილმა იგი დაახასიათეს, როგორც "ლიბერალური, უმნიშვნელო პროცენტია, ახალი ტიპის ხელმძღვანელი, რომელიც პარლამენტისთვის კარგი შენაძენი იქნება."

ლინ კირკლანდის სახელობის სტიპენდიის პროგრამა
პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო იუწყება, რომ
პოლონურ - ამერიკული თავისუფლების ფონდი (დაფინანსებული)
პოლონურ - ამერიკული ფულბრაიტის კომისია (აღმინისტრატორი)
ასცხადებენ ღია კონკურსს
ლინ კირკლანდის სახელობის სტიპენდიის
2004-2005 აკადემიურ წელს მისაღებად

ლინ კირკლანდის სახელობის სტიპენდიის პროგრამის მიზანი არის, მეზობელ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის ეკონომიკური გარდაქმნისა და სისტემის შეცვლის პოლონური გამოცდილების გავრცელება და გაზიარება.

ამ პროექტის განხორციელება ითვალისწინებს 2 სემესტრიან დამატებით სწავლებას პოლონეთის უმაღლეს სასწავლებლებში და აგრეთვე პროფესიონალურ სტაჟირებას (2-4 კვირა) სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში.

მაძიებელი: 2004-2005 აკადემიურ წელს კირკლანდის პროგრამა გათვალისწინებული არის უკრაინის, ბელორუსის, რუსეთის (კალინინგრადის ოლქი), ლიტვის, სლოვაკეთის, მოლდოვასა და საქართველოს იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც არიან უმაღლესი სასწავლებლების და სამეცნიერო ინსტიტუტების მეცნიერ მუშაკები; საზოგადოებრივი სფეროსა და თვითმმართველობის ორგანიზაციების მოხელეები, ექსპერტები და მუშაკები; არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები; ჟურნალისტები; მენარმები; მცირე და საშუალო წარმოების ხელმძღვანელები.

დარგი: ეკონომიკა, მართვა, საზოგადოებრივი ადმინისტრირება, ბიზნეს ადმინისტრირება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზები, კანონმდებლობა, საზოგადოებრივი მეცნიერებები, პოლიტიკური მეცნიერებები.

სასურველი კრიტერიუმები: 35 წლამდე (40 წლამდე - საფუძვლიანი გამოცდილის) ასაკის მქონე თავიანთ სფეროში აქტიურად მომუშავე მაძიებელი.

ფორმალური კრიტერიუმები: მოქალაქეობა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ზემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ ქვეყანაში; სრული უმაღლესი განათლება (მეცნიერ მუშაკებისათვის სასურველია კანდიდატობის სამეცნიერო ხარისხი); პოლონური ენის ცოდნა, რაც აძლევს მაძიებელს სემინარებსა და ლექციებში მონაწილეობის საშუალებას, ან ინგლისური ენის, კონკრეტული კურსის არჩევის შემთხვევაში; უნდა გააჩნდეს მინიმუმ 2 წლიანი პროფესიული გამოცდილება.

მაძიებლის განაცხადი: ანკეტის ფორმა, პროგრამის აღწერა და სხვა ინფორმაცია თქვენ შეგიძლიათ შეუკვეთოთ ფულბრაიტის კომისიაში ფოსტით, ე-მაილ-ით ან ტელეფონით, აგრეთვე შეგიძლიათ მოიპოვოთ ინტერნეტის საშუალებით შემდეგ ვებ-გვერდზე: www.fulbright.edu.pl ან www.programkirkland.engo.pl. განცხადებისა და სარეკომენდაციო წერილების დედანი გთხოვთ გამოგზავნოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2004 წლის 15 მარტამდე. მითითებული ვადების შემდეგ გამოგზავნილი ანკეტები აღარ განიხილება.

Polsko-Amerykanska Komisja Fulbrighta, ul. Nowy Swiat 4, 00-497 Warszawa – Polska
 tel.: (48-22) 6287950, 6256932, 6256978; faqs: (48-22) 6287943;
 e-mail: fulbright@fulbright.edu.pl; internet: <http://www.fulbright.edu.pl>

ქირავდება ქალაქის ცენტრში
პრესტიჟულ ადგილას
400 კვ.მ. ფართის ტერიტორია.

საუკეთესო რესტორნის, ლამის
კლუბის ან სხვა გასართობი
საქმიანობისათვის.

ინფორმაციისათვის დაკავშირდით: 893 200035

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
 JOINT-STOCK COMPANY

ანაბხები და დავოზისები

"საქართველოს ბანკი" ბიზნესობით ვაღიანი და მოთხოვნაზე ანაბრებს და დავოზიტებს
 თანხის განთავსებას პროცენტულ და უცხოურ ვალუტაში შემდეგი საპროცენტო განაკვეთებით (წლიური)

ვალუტი	პროცენტული ვალუტაში	უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი, ეირო)	ბიომპანება სტანდარტში
ზომიანი	8 %	8%	-
მოთხოვნაზე	2,0 %	2,0 %	2,0 %
31-89 დღე	5,0 %	4,0 %	-
90-179 დღე	8,0 %	7,0 %	-
180-269 დღე	10,0 %	9,0 %	-
270-389 დღე	11,0 %	10,0 %	-
390-545 დღე	11,5 %	10,5 %	-

"საქართველოს ბანკში დავოზიტების და ანაბრების განთავსების შემთხვევაში
თქვენ ისარგებლებთ დამატებითი შეღავათებით:

- "საქართველოს ბანკი" თავის მუდმივებს სთავაზობს შეღავათიან საპროცენტო განაკვეთებს მათ მიერ ბანკში განთავსებული დეპოზიტებისა და ანაბრების უზრუნველყოფით გაცემულ კრედიტებზე. ამ შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთები განისაზღვრება ამ დეპოზიტებზე დასარიცხი წლიური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით და აღემატება მას ოთხი პროცენტული პუნქტით.
- ფიზიკურ პირებს, რომლებიც 6-11 თვის ვადით ანაბარზე განათავსებენ 3.000-5.000 აშშ დოლარს, უფასოდ გადაეცემათ ბანკის მიერ ემიტირებული Cirrus/Maestro (Visa Electron).
- ფიზიკურ პირებს, რომლებიც 12 თვით ან მეტი ვადით ანაბარზე განათავსებენ 3.000-5.000 აშშ დოლარს, მათი სურვილისამებრ უფასოდ გადაეცემათ ბანკის მიერ ემიტირებული Cirrus/Maestro (Visa Electron), ან სამედიცინო დაზღვევა.
- ფიზიკურ პირებს, რომლებიც 6-11 თვის ვადით ანაბარზე განათავსებენ 5.000-50.000 აშშ დოლარს, მათი სურვილისამებრ უფასოდ გადაეცემათ ბანკის მიერ ემიტირებული EuroCard/MasterCard Standart ან Visa Classic.
- ფიზიკურ პირებს, რომლებიც 12 თვით ან მეტი ვადით ანაბარზე განათავსებენ 5.000-50.000 აშშ დოლარს, მათი სურვილისამებრ უფასოდ გადაეცემათ ბანკის მიერ ემიტირებული EuroCard/MasterCard Standart (Visa Classic) ან სამედიცინო დაზღვევა.
- ფიზიკურ პირებს, რომლებიც 12 თვით ან მეტი ვადით ანაბარზე განათავსებენ 50.000 აშშ დოლარზე მეტ თანხას, უფასოდ გადაეცემათ ბანკის მიერ ემიტირებული EuroCard/MasterCard Standart (Visa Classic) და სამედიცინო დაზღვევა.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ
"საქართველოს ბანკის" ფილიალებში ან დაგვირეკეთ: 444 444

ახლა მუტანტების დროა

ამას წინათ ერთმა ჩემმა კოლეგამ უცნობი ქალის ფოტო გამოაქვეყნა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე - იგი საკვანძო ნათესავის ვინაობის დადგენას ცდილობს. ამ მართლაც მშვენიერი ქალბატონის პორტრეტმა ძველი სურათები გამახსენა, ოღონდ არა საოჯახო ალბომებში დაცული. კინო-ფოტო-ფონო დოკუმენტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (დირექტორი მარლენ კიტია) ჩვენი ისტორია ფირზეა გადატანილი და როგორც ამ პროფილის სხვა დაწესებულებებში, აქაც დოკუმენტური მასალების აღრიცხვა, დაცვა, შენახვა თუ დამუშავება ბოლო დრომდე ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა.

სოფიო თოდუა

ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე

მეც ხშირად ნამოცდენია ერთი გაცვეთილი ფრაზა, რომ ისტორია ორჯერ მეორდება. ვერ გეტყვით, ამ სიტყვებს ვის მიანერენ, არც ის ვიცი, მართლა ორჯერ მეორდება თუ მეტჯერაც, მაგრამ ისტორიული მოვლენების დაფიქსირება ერთხელ რომაა შეაძლებელი, ეს ფაქტია. არქივის შენობა ერთგვარი ორიენტირია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ამიტომ ამთავითვე ვიტყვი: ამ მაღალი ნაგებობიდან ისევე იწყება ჩვენი ხალხის ისტორია, როგორც ერთ-ერთი გრძელი პროსპექტი თბილისში. საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტში მიმავალს, რომელიც 6 ცენტრალურ არქივს აერთიანებს, რეგულირებით გამდევდა პრეზიდენტის გადაწყვეტილება დეპარტამენტის გაუქმების შესახებ. კეთილი და პატიოსანი. ამდენი დეპარტამენტისა და სამინისტროს გაუქმების წინააღმდეგ ვინ ოხერია, მაგრამ ვაკვადრირდები და ქვეყნის პირველ პირს შევასხენებ: ბატონო პრეზიდენტო, ეს დეპარტამენტი საგრძობლად განსხვავდება სხვებისაგან. დარწმუნებული ვარ, ახალი მეპატრონე (იუსტიციის სამინისტრო) უკეთ მოვლის, ვიდრე ძველი (საქართველოს მეორე პრეზიდენტი), მაგრამ ჩვენ მაინც იმ ქვეყანაში ცხოვრება გავგინარდობა, სადაც არქივს უფრო შევფერება მსაზღვრელად "ეროვნული", ვიდრე ცირკსა თუ სხვადიონს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ამ ტიპის დანებსა და მოუკიდებლად უნდა არსებობდეს და სახელმწიფო მას თვალისწინებით უფრო ხილვადობდეს, თორემ მხოლოდ სახელის გადარქმევა საქმეს ვერ უშველის. ეს ისე, სიტყვამ მოიტანა, თორემ მე ისევე ჩემი კოლეგის პოეტური ნათესავის ფოტო მიიღება თვალწინ და ამ ემოციით დამუხტული მივეშურები "ვაჟა-საკენ".

პარტიები - მე. დანარჩენი - თქვენ

მას აქეთ, რაც დაგერმა გამო-სახულების ფორზე გადატანა შეძლო, პოპოვმა (თუ მართლა მას ეკუთვნის ეს გამოკონება) ბგერა ყველასათვის გასაგონი გახდა, ძმებმა ლუმიერებმა კი გამოსახულება ეკრანზე გააცოცხლეს, ფოტოგრაფია, რადიომუნიციონლობა და კინემატოგრაფი ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. დღეს უკვე უნიკალური ფორების თავმოყრა და მათზე ზრუნვა ისევე აუცილებელი გახდა, როგორც უშველესი ხელნაწერებისა თუ არქეოლოგიური მასალის მოვლა-პატრონობა. კინო-ფოტო-ფონო დოკუმენტების არქივი 1945 წელს სწორედ ამ მიზნით დაარსდა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რამდენად ძვირფასია ძველი კინოები თუ მხატვრული ფოტოები ქართული ხელოვნები-

სთვის, მაგრამ ისტორიული თვალსაზრისით დოკუმენტური მასალები ფასდაუდებელია. სამწუხაროდ, დამოუკიდებელ საქართველოში არქივების (მათ შორის კინო-ფოტო-ფონო დოკუმენტების არქივის) პრობლემა სახელმწიფოებრივ დონეზე არავის გაუაზრებია. ერთადერთი გამონაკლისი შევარდნაძის გადაწყვეტილება იყო, როდესაც მან, გასაგები მიზეზების გამო, პარტიული არქივი კანცელარიაში დაიტოვა და კარგადაც უპატრონა. საბჭოთა პერიოდში, გრიფით - "საიდუმლო", არქივებში გაცილებით მეტი დოკუმენტი ინახებოდა, თუმცა დღეს უნდა გვიხაროდეს კიდევ, რომ პოლიტიკური კონიუნქტურის წყალობით უნიკალური მასალები დარბევასა და განადგურებას გადაურჩა. ბოლო წლების განმავლობაში კინო-ფოტო-ფონო-არქივი თითქმის აღარ განახლებულა. რაც დარჩა, ისიც საავალალო მდგომარეობაშია.

ისტორიიდან ამოშლილი 1946 წელი

სახელმწიფო არქივების ახალი მასალებით შევსება სხვადასხვა გზით ხდება. კერძო კოლექციების შეძენა, რა თქმა უნდა, დასაშვებია, საჩუქრის მიღებაც ნებადართულია, აი, სახელმწიფო სტრუქტურებიდან მასალების მიწოდება კი აუცილებელია. კინო-ფონო-ფოტო არქივის შემთხვევაში ასეთი სახელმწიფო სტრუქტურებია: კინოსტუდია, ტელეფონო-ტელევიზიური, "საქინფორმი" და "მელიონი", თუმცა არც ერთი მათგანი არქივს იმ მწირ მასალასაც აღარ აწვდის, რასაც ისინი ქმნიან. მიზეზი გასაგებია: მათ არქივს მასალა მზა პროდუქტის სახით უნდა მიანოდონ, რასაც გარკვეული თანხა სჭირდება. მოგეხსენებათ, ფული დღეს ძნელად იშოვნება და სხვენებული სტრუქტურები გროშებს თუ მოულოდნელ, ისტორიისთვის განუყოფელი მასალები მხოლოდ საკუთარ არქივებში დასაუნჯებლად ემეტებათ. არადა, კანონის თანახმად, დოკუმენტური კინო-ფოტო-ფონო, ფოტოები თუ აუდიოჩანაწერები, რომლის შესაქმნელადაც თანხა ბიუჯეტდანი გა-მოიყოფა, არქივს უნდა გადაეცეს. სხვათა შორის, მათი შენახვა, მოვლა და დახარისხებაც ფული ღირს, რაც მხოლოდ არქივის თანამშრომლების ხელფასებით არ განისაზღვრება.

როგორც ყველა საარქივო მასალას, კინო-ფოტო-ფონო დოკუმენტების დამუშავებას სათანადო აპარატურა სჭირდება, თუ არადა, უნიკალური კადრები და ჩანაწერები ადრე თუ გვიან დაზიანდება. თანამედროვე აპარატურა, რასაკვირველია, არ არის. სამაგიეროდ, არის თანამშრომლების კატასტროფულად შემცირების აუცილებლობა და არქივის განადგურების პერსპექტივა. ჩემს თვალწინ 1946 წლის ამსახველი კინოფორი გაფუჭდა. შესაბამისი აქტი მხოლოდ კონტროლის პალატასთან თავის სამართლებლად შედგება. რამდენად და-



ცენტრალური სახელმწიფო არქივი.

აზარალებს ამ ეპიზოდის გაქრობა უახლეს ისტორიას, ამას სახელმწიფო არად დაგვიღებს.

ახალი ღმერთი თუ ახალი მანქანა?

საუკეთესო გამოსავალი არქივში დაცული მასალების ლაზერულ დისკებზე გადატანაა, მაგრამ დღევანდელი ბიუჯეტის ფარგლებში მათ შეძენაზე აქ არც კი ოცნებობენ. არადა, სხვაგან, მაგალითად იაპონიაში, ვიდრეკამერით გადაღებული ფორებიც არქივში შესანახად კინოფორზე გადააქეთ, რადგან ეს უკანასკნელი გაცილებით დიდხანს ძლებს. ახლა რომ გითხრათ, ჩვენს არქივში ვიდრეფორებს ინუვენებს და მხოლოდ "კოდაკის" კინოფორზე გადატანილი მასალებს ითხოვენ-მეთქი, დამიჯერებთ? განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა კინო-ფორების დაცვის მხრივ. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ევრეთ ნოდებულმა აალებადმა ფორებმა, ძალიან დიდი ხნის წინათ რომ უშვებდნენ, შეიძლება მთელ არქივში შესანახად კინოფორები სიცხეში, როცა კონდენსირების არანაირი საშუალება არ არის, მათში მიმდინარე ქიმიური პროცესების შედეგად თავისთავად შეიძლება ააღდეს და მთელი საცავი გადაბუგოს. მათი ნაწილის ჩვეულებრივ ფორზე გადატანა როგორცაა მოხერხდა, მაგრამ რაც დარჩა, ის სასწრაფოდ მისახედია. საცავს, სადაც დღეს ისინი ინახება, სულ მცირე, საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ტექნიკური პროგრესის კვალი არ ატყვია, თუმცა ეს პერიოდი პროფესიონალებმა შეიძლება კიდევ უფრო დააზუსტონ ხანდაზმულობის თვალსაზრისით.

ფოტო და ფონოფორები მხოლოდ იმ მიზეზითაა შედარებით კარგ მდგომარეობაში, რომ ამ მასალის დასამუშავებლად ერთ-

მა კეთილმა ადამიანმა იზრუნა, მაგრამ მე მის სახელსა და გვარს, კოლმეურნობის თავმჯდომარისა არ იყოს, არ გაგიმხელთ. როგორც ლათინელები იტყოდნენ - Deus ex machina (ღმერთი მანქანიდან) გამოჩნდა და საჭირო აპარატურაც შეიძინეს. მსგავსი მონყობილობა კინოფორების დასამუშავებლად იმდენად ძვირი ჯდება, ბარე ორი ალტრუსტიც ვერ გასწვდება. მიუხედავად იმისა, რომ აქ შემორჩენილი თხუთმეტობილი თანამშრომელი არქივში დაცული მასალების კონსერვაციის იმედს მაინც არ კარგავს, სახელმწიფო მანქანა საპირისპირო მიმართულებით მოძრაობს და საქმეს სულ სხვა პირი უჩანს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ დიდხანს გამართული ლაბორატორიები არსებობდა. არადა, სხვაგვარად უნიკალური დოკუმენტები ჩვენამდე ვერ მოაღწევდა.

სახიფათო კავშირები

ეს არქივი მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როცა დოკუმენტური ფილმების გადაღება აუცილებელი ხდება. ასეთ დროს, იცოცხლებ, არქივს აკითხავენ. მათი მასალების გამოყენებით ხშირად მდარე პროდუქციაც აუდიტორიაზე გავლენას ახდენს, რადგან მასეული შელამაზებულ კომენტარები მეტად სიმართლეს სწორედ ერთ დროს დაფიქსირებული კადრებით იგებს. იყო დრო, და არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, როცა ვერავინ წარმოიდგენდა, კომუნისტური შაბათობების ამსახველი კადრები და პოლიტიკურის მოსაზრებელი გამოსვლები ოდესმე სათლით საქმენელი თუ გახდებოდა. ეს რეალობა, სხვათა შორის, მხოლოდ კომუნისტურ წარსულს არ ეხება - იგივე ითქმის ბოლო 20 წლის მოვლენების ამსახველ დო-

კუმენტებზეც. მარლენ კიტია გულდასმით მათვალისწინებს არქივის განყოფილებებს და ერთ ისტორიას მიყვება: მესამე პრეზიდენტის ინაუგურაციაზე მათ საკუთარი ფოტოგრაფი, რასაკვირველია, ვერ გაუშვეს. არადა, ამ კადრების ხელიდან გაშვება იქნებოდა? ერთმა ფოტოხელოვნმა დღევანდელი გადასახედიდან ამ ჩვეულებრივი ფოტოსურათის საფასურად 4 უნიკალური ფოტო მოითხოვა. იცით, რატომ? იმიტომ, რომ ათი წლის შემდეგ ეს კადრებიც ძნელი მოსაპოვებელი გახდება. ბარტერი არ შედგება არქივი გაღწეული მესამე პრეზიდენტის გარეშე დარჩა. გული დამწყდება, ამ ფოტოს არარსებობა ვინმეს ისევე თუ დააბნეის, როგორც მე, როცა ერთ-ერთი ფოტოალბომის დათვალისწინებისას ვერა და ვერ მივხვდი, რა პრინციპით აკლდა მას რამდენიმე ვეკერი. ისევე მარლენ კიტია დამეხმარა - ამ ფურცლებზე ლა-ფურცლებზე მოაღწევი ჩვენამდე ვერ მოაღწევდა.

წული ვალუტისა. სხვათა შორის, ესეც ვალუტაა, ოღონდ მისი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში ჯერ-ჯერობით არავის განუსაზღვრავს.

აქ რა მოგიყვანა. შე მადლიანო...

ვაზივით კედელზე გასული გიგანტური კაქტუსი დირექტორის კაბინეტში ყოველწლიურად წითელ ყვავილს ისხამს. ის არც სიცხეს ეშუება, არც მანქანების გამონახობლებზე რეაგირებს და სულ სხვა სამყაროს არსებობაზე მიგვანიშნებს. ჯარისკაცის მამისაგან განსხვავებით, ემოციებისაგან თავი შევიკავებ, თუმცა ერთ-ორი კითხვა ბატონ მარტენს მაინც დავუსვი. გაირკვა, რომ ეს უჩვეულო მცენარე ერთ დროს არაფრით გამოირჩეოდა სხვა კაქტუსებისაგან. ყველაფერი იქიდან დაიწყო, როცა ტელევიზიაში სამუშაოდ გადასულმა მარლენ კიტიამ იგი თან წაიღო. აპარატურის გამოსხივებამ, როგორც ჩანს, უწყინარი მცენარე მუტანტად აქცია და როგორც ყველა მუტანტმა, მანაც განსაკუთრებული თვისება შეიძინა - სულ მაღლა და მაღლა მიიწევს. მუტანტების წინააღმდეგი სულაც არ ვარ, მაგრამ მინდა მჯეროდეს რომ მომავალი ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ მათ არ ეკუთვნით.

P.S. ეს წერილი შეგვეძლო, არქივში დაცული ფოტოებით დაგვემშვენებინა. სწორედ რომ დაგვემშვენებინა, მაგრამ რეალობა საპირისპიროსკენ მიბიძგებს. ამჯერად თავად ვიკისრები მემატიანის ფუნქციას და "ფოტოკადრებს" შემოგთავაზებთ პირობითი წარწერით: აქაურობას ერთ დროს ფოტოლაბორატორია ერქვა, აქაურები ერთ დროს უნიკალური კადრებისა და ხმების შენახვას ემსახურებოდნენ.

სარეკლამო ახალი ფორმა! ზსურთ ბაუკატირთ ბანსაკუთრებულნი სარეკლამო ახლოხელ ადამიანს? გიზირთ პრემიანის ბაკატირბა? **კაპა-ფრაქცია 32** ტელ: 911991 877-791991

რამის

კონფერენცია სვლილბაზს ითხოვს

რაგბის კავშირის მომავალი ყრილობა, სავარაუდოდ, ერთ თვეში გაიმართება

პაპაძე თორნიკე

მაისისთვის დაგეგმილი საქართველოს რაგბის კავშირის მომავალი ყრილობა, სავარაუდოდ, ერთ თვეში გაიმართება. ამის შესახებ გადანაცხევები ჯერ საბოლოოდ არ მიუღიათ, მაგრამ წინაპირობა შექმნილია საიმისოდ, რომ მოვლენები ამგვარად განვითარდეს.

გუშინ სპორტის აკადემიაში მოენციო რაგბის კონფერენცია. მიწვეული იყვნენ კლუბების წარმომადგენლები, მწვრთნელები, მსაჯეები. ერთი სიტყვით, ყველანი, ვისაც ქართულ რაგბში სიტყვა ეთქმის. შეკრებულ საზოგადოებას ქართულ რაგბში შექმნილ მდგომარეობაზე, პრობლემების დაძლევაზე, სპორტის ამ სახეობისა და საქართველოს რაგბის კავშირის ორგანიზაციულ-სტრუქტურულ განვითარებაზე უნდა ემსჯელა. მთავარი კი, რაც კონფერენციის მონაწილეებს უნდა გადაეწყვიტათ, კავშირის რეგარეშე ყრილობის მოწვევა და პრეზიდენტის არჩევნების ჩატარება გახლდათ. რამდენიმე კლუბმა, რომელიც საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობის საქმიანობას უარყოფითად აფასებს, მოითხოვა რეგარეშე ყრილობის ჩატარება ერთი თვის ვადაში და ამ მოთხოვნით მიმართა რაგბის კავშირის გამგეობას. ასე რომ, ახლა გამგეობის გადასაწყვეტია, როდის მოინვესტყვილობას. ეს საკითხი გუშინაც გადაწყვეტილია, გამგეობის წევრები ბოლომდე რომ დარჩენილიყვნენ.

თორნიკე გეგმიემ ადრევე დატოვა კონფერენცია, შავლევ ჯანელიძემ დროდადრო შემოდიოდა დარბაზში, ბოლოს კი საერთოდ დატოვა იქაურობა. გადანაცხევების მიღება მაინც შეიძლებოდა, დარბაზში გამგეობის ხუთი წევრიდან სამი მაინც რომ ყოფილიყო, მაგრამ ბათუ კველიძემ გადაუდებელი საქმე გამოუჩნდა და იძულებული გახდა, წასულიყო. მიუხედავად ამისა, ყრილობის ჩატარების მომთხოვნი კლუბები და კონფერენციის ორგანიზატორი რაგბის მხარდამჭერთა ლიგა დარწმუნებულნი არიან, რომ გამგეობა უახლოეს დღეებში მიიღებს გადაწყვეტილებას და ყრილობაც ერთი თვის ვადაში გაიმართება.

ეს იყო კონფერენციის მთავარი თემა, რომელიც მონაწილეებმა ბოლო ორმოც წუთში გადანაცხვეტეს. დარჩენილ დროში კი რაგბის მხარდამჭერთა ლიგის საქმიანობაზე ისაუბრეს. ორ ნაწილად გაყოფილი კონფერენციის პირველი ნაწილი რაგბის მხარდამჭერთა ლიგის წარმომადგენლების გამოსვლებს დაეთმო, მეორე ნაწილში კი აზრის გამოთქმა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით ნებისმიერ მსურველს შეეძლო. მათი უმრავლესობა გეგმის მონინალმდევეტი იყვნენ. მხოლოდ ერთი, "ყოჩების" მწვრთნელი მერაბ მაღალურაძე ცდილობდა, დადებითად შეეფასებინა კავშირის საქმიანობა და, გარკვეულწილად, ეს მოახერხა კიდევ, თუმცა, არც მონინალმდევეტ ბანაკი დარჩა ვალში. ბოლოს კი, უკვე ვთქვით, რაც მოხდა.



გიორგი გეგიძე და მერაბ ანთაძე ერთ თვეში ერთმანეთს კვლავ დაუპირისპირდებიან.



TV-სპორტი

სამგაბათი 17 თებერვალი

HTB + ФУТБОЛ

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 მიწვევებითი. რუსეთის ჩემპიონატი
14:30 საფეხბურთო უიკენდი
15:15 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:10 თავისუფალი დარტყმა
16:25 ფუტზალი. რუსეთის ჩემპიონატი. მე-3 ტური
17:25 განვლილი კვირის პიტ-აღლუმი
19:05 "FUTBOL MUNDIAL"
19:30 ლიბერთადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
20:00 "გამფლავება"
20:30 სახვალთო ტელეპროგრამა
20:40 თავისუფალი დარტყმა
20:55 განვლილი კვირის პიტ-აღლუმი
22:40 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:35 თავისუფალი დარტყმა
23:50 ევროპის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:50 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2003-2004. "სარტა" - "დაციო"
02:45 ლიბერთადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
03:15 03:15-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. ნელი 1987. ფინალი. "BOSTON CELTICS" - "LOS ANGELES LAKERS". მე-4 თამაში
06:30 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: კადრები დიდი ფინალებიდან

HTB + СПОРТ

11:00, 14:00, 17:15, 20:10, 22:15 პრეს-ცენტრი
11:15, 22:00 "ოლიმპის ვიდეოები"
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "NEW YORK RANGERS" - "OTTAWA SENATORS"
14:40 "ორმაბათამდე მივატანო"
15:15 "რკინის ფაქტორი" - "Iron Man-2003"
15:55 ბოლინგი. PBA Tour სპრინგ-ფოლდში. (აშშ)
16:45 "ფრისტაილი". ტელეფურნალი
17:30 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
17:40 მძლეონობა. რუსეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"

საქართველო სპორტი

შეიძინეთ გაერთიეთ მოიგეთ!

ყოველ შაბათს, რუსეთის 2-ის პრემიათა ერთიანი კვირის ტრანსლაციისთვის "საოცებო ტიტოლს" გათავსდება.

ფინალი "ფინალის" ფორუნი წარმართის.

ფეხბურთი

საუკუნის ქურდობა ბარნაბაუზა

ესპანეთის ჩემპიონატის უკანასკნელი ტურის მატჩში ორი ლიდერი, მადრიდის "რეალი" და "ვალენსია" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. შეხვედრა, ფერდ (1:1) გასრულდა. სამეფო კლუბმა ლიდერობა შეინარჩუნა. თუმცა, გარდა იმისა, რომ ეს მატჩი ტურის ცენტრალური შეხვედრა იყო, კიდევ უფრო დიდი ყურადღება მიიპყრო "ვალენსიას" კარში 90-ე წუთზე დაწინაურებული თერთმეტმეტრიანმა დარტყმამ. სწორედ ამ პენალტის წყალობით მოიპოვა "რეალმა" ერთი ქულა.

"საუკუნის ქურდობა", - ასე აღწერა გაზეთმა *Diario de Valencia*-მ მსაჯის გადაწყვეტილება. "უსამართლო პენალტმა "ვალენსიას" ტრიუმფი ჩაშალა", - წერდა მადრიდელი სპორტული გაზეთი *Marca*. თვით რესპექტაბელურმა *El Pais*-მა აღნიშნა, რომ "მსაჯის შეცდომამ "ვალენსია" იმსვენერპლა".

დიახ, ყურადღების ცენტრში იყო არა ლუმი ფიგუ, რომელმაც და-

მატჩში არ დადებდნენ პენალტს". ცხადია, სულ სხვა აზრის არიან მასპინძლები. ბრაზილიელი რობერტო კარლოსის აზრით, "პენალტი ასპროცენტიანი იყო". ასევე ფიქრობს "რეალის" სპორტული დირექტორი ხორხე ვალდანო: "ტელეკადრების ნახვის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ეს, მართლაც, თერთმეტმეტრიანი იყო, ხოლო რაულთან საუბრის შემდეგ მსაჯის გადაწყვეტილების სამართლიანობაში კიდევ უფრო დავრწმუნდი". უცნობია, თუ რა უთხრა რაულმა ვალდანოს, ყურნალისტებთან საუბრისას კი "რეალის" კაპიტანმა თქვა: "მარჩენას რომ წესები არ დაერღვია, ნამდვილად არ ნავიქცევოდი. მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა და მეტის თქმა აღარც არის საჭირო".

საინტერესოა, რას ფიქრობს თავად "დამნაშავე" მარჩენა. "არა მგონია, რომ მსაჯის გადაწყვეტილება სწორი იყო. ეს ყველამ კარგად დანიხა", - განაცხადა მან. ასეა თუ ისე, "რეალმა" მაინც



ამ ინციდენტს პენალტი მოჰყვა.



ბარდ მიულერი: „აილტონის ბარაზა „პერდარი“ ის აღარ იქნებოდა“

ბუნდესლიგის 40-წლიანი ისტორიის ნომერ პირველი ბომბარდირი ლეგენდარული გერდ მიულერი გახლავთ. მიუნხენის „ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელ სამშობლოში „ბაიერის ბომბარდირსაც“ უწოდებენ. 427 მატჩში მიულერმა 365 გოლი გაიტანა. 1971-1972 წლების სეზონში კი 40 ბურთის გატანა მოახერხა.

ვერავინ იფიქრებდა, რომ მიულერის ამ რეკორდს ოდესმე ვინმე მოხსნიდა. ის ჯერ არც მოხსნილა, თუმცა, ბუნდესლიგაში პირველად გამოჩნდა ფეხბურთელი, რომელსაც ამის შანსი აქვს.

ბერმენის „ვერდერის“ ბრაზილიელ ფორვარდს, აილტონს წლეულს ჩატარებულ 20 მატჩში უკვე 19 გოლი აქვს გატანილი. თანდათანობით ის მარადიულ რეკორდს უახლოვდება...

თუმცა, ერთი რეკორდი მან უკვე წაართვა მიულერს. აილტონმა უკვე 12-ჯერ მოახერხა მატჩებში ანგარიშის გახსნა. ასეთი რეკორდი მანამდე გერდ მიულერს ეკუთვნოდა. ინტერვიუში, რომელსაც ქვემოთ ვთავაზობთ, ლეგენდარული გერმანელი ფეხბურთელი აილტონსა და „ვერდერზე“, ამ კლუბის ჩემპიონობის მანსებზე საუბრობს და აღიარებს, რომ ცოტათი შურს კიდევ ბრაზილიელი ფორვარდის.

- თქვენს 40-ბურთიან რეკორდს საფრთხე დაემუქრა. გეშინიათ აილტონის?

- თუ ის გადაიმსწრებს, მე ქელს მოვიხრი მის წინაშე და პირველი მიველოცავ ამ წარმატებას. მაგრამ დადგება დრო, როდესაც ის ასე აღვივლად ვეღარ გაიტანს გოლებს.

- რა მოგონებთ აილტონის?

- მისი კოზირი სისწრაფა. „კა-

ბელია იმიტომ, რომ ერთ მცველს აილტონი უპრობლემოდ უსწორდება.

- მოუტანს თუ არა აილტონი გერმანიის ჩემპიონობას „ვერდერს“?

- უკანასკნელ სეზონში მან კარგად ითამაშა, ხოლო ამ სეზონში ძალიან კარგად ითამაშებს. დავიცადოთ, ვნახოთ, როგორ გააგრძელებს. აილტონს ხშირად ემუქრება ტრავმა. რომ დაშავდეს, „ვერდერი“ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდება, რადგან მის გარეშე გუნდს არაფერი გამოისდის. მთელი „ვერდერი“ მასზეა მორგებული.

- ეს იგი, „ვერდერი“ მეტად დამოკიდებულია აილტონზე?

- ის რომ დიდი ხნით დააკლდეს „ვერდერს“, ამ გუნდისგან აღარავინ დაჩვენება.

ნიკოლ კიდმანი ზეზიობას ჩქარობს



ისტორიულ-ეპიკურ მელოდრამას, "ცივი მთის" გადაღებებმა, როგორც ჩანს, მთავარი როლის შემსრულებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ფილმში ჰოლივუდელი მსახიობი, პასტორის შვილის, ლამაზი გოგონას როლის შესრულებისას, რომელიც თითქოს ფერმაში ცხოვრებით არ უნდა მოხიბლულიყო, სოფლის ცხოვრების თავისებურებებს ასე თუ ისე ჩანადობდა და გაუთავისებია.

ვარსკვლავის სურვილია, რომ სამომავლოდ, როდესაც სამსახიობო

კარიერას საბოლოოდ დაემშვიდობება, დარჩენილი ცხოვრება სადმე სოფელში, "ბევრი შვილების, შვილიშვილებისა და ცხოველების" გარემოცვაში გაატაროს. ერთ-ერთ ინტერვიუში კიდმანმა აღიარა, რომ სულაც არ საჭიროებს დასვენებას საკუთარ ფერმაში და მზადაა გახდეს კეთილი, მხედველობადაქვეითებული პეზია, რომელიც ცხვირზე პატარა სათვალეს გაიკეთებს, რათა როგორმე გარსემომხვეული შთამომავლობა და ყველაწილი სულიერი გააჩრჩოს.

სტუდენტები შექსპირის ყველა პიესას ერთ დღე-ღამეში წაიკითხავენ

კვირა საღამოს ერთ-ერთი ამერიკული კოლეჯის დრამატული ნრის ინიციატივით უჩვეულო მართონი დაიწყო. სტუდენტებს გადამწყვეტილი აქვთ შექსპირის ყველა პიესა, შეუსვენებლად, 24 საათში წაიკითხონ.

ვალესლის ქალთა კოლეჯთან (ბოსტონი, მასაჩუსეტის შტატი) არსებული შექსპირის საზოგადოების წევრები იმედოვნებენ, რომ მათ მიერ განხორციელებული "შეცდომების კომედია" კი არ გადაიქცევა, არამედ მათ პირდაპირ გინესის რეკორდების წიგნში შეიყვანონ, როგორც პირველი ინიციატივებს, რომლებმაც შეძლეს დიდი დრამა-


ტურგი ყველაზე მოკლე დროში დაეძლიათ.

თუმცა შექსპირის ნაშრომების ზუსტი ციფრი დღესდღეობით დავის საგანია. სტუდენტებს გადაწყვეტილი აქვთ წაიკითხონ 39 პიესა, 154 სონეტი და ყველაზე ცოტა, 5 პოემა.

მართლმთხვევითი მონაწილე ჯგუფმა ადგილობრივი ბიბლიოთეკიდან შექსპირის ტომების, სულ ცოტა, 200 ვგზემპლარი გაიტანეს. ჯგუფის მხარდამჭერთა სიაში პროფესორები და შექსპირის შემოქმედების თაყვანისმცემლები შედიან. დასაწყისისთვის ამ დონისძიებას 50 ადამიანი შეემატა.

დილის რეცეპტი

გადასვნიდან
"დილა მშვიდობისა
საპრეტქალკო"



თევზი ეპრაულად

რუსთაველის თეატრის მსახიობი
ლელა ალიბეგაშვილი


ინგრედიენტები:
თევზი სიგა ან ნებისმიერი ახალი თევზი 3-4ცალი
კარტოფილი 1,5 კგ
სტაფილო სვე

ხახვი 3-4 თავი
კარაქი 200გ
დაფნის ფოთოლი
სურნელოვანი წინაყა
მარილი

მომზადების წესი:
დაჭრით თევზი საშუალო ნაჭრებად და დაფით კარაქნასმულ ტაფაზე.
შემდეგ დაეხმეთ მოგრძო ნაჭრებად დაჭრილი კარტოფილი, რგოლებად დაჭრილი სტაფილო და ნახევარ რგოლებად დაჭრილი ხახვი. ზემოდან დაფნის რამდენიმე ფოთოლი და სურნელოვანი წინაყა. ტაფას დაეხურეთ თავსაბური და დავედით საშუალო ცეცხლზე 30-40 წუთით.
მომზადების დროს კერძი არევათ არ საჭიროებს.

საკციო საზოგადოება "მინა"

ქსნის მინის ტარის ქარხანა
ტელ: 94-03-18; 94-03-26; 94-39-43
ფაქსი: 94-15-84



ს.ს. "მინა" აცხადებს ტენდერს 2004 წლის სეზონისათვის სამეურნეო, საკანცელარიო, ელექტრო (ელ.კაბელები, ხელსაწყობები, ელ.აგტომატები, ნათურები, სხვ.), ქიმიური და სხვა მასალების შესყიდვაზე, სულ 300-მდე დასახელება.

დაინტერესებულ კომპანიებს და პირებს ვთავაზობთ წარმოადგინონ შესაბამისი კომერციული წინადადება.

წინადადებები წარმოდგენილ უნდა იქნეს წერილობითი სახით, ორ ვგზემპლიარად, მონოდების პირობებისა და ანგარიშსწორების ფორმის მითითებით, ქვემოთ მოცემულ მისამართზე.

ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებთან და პირებთან გაფორმდება ერთწლიანი ხელშეკრულება.

წინადადებების მიღება და სატენდერო მასალების სრული ჩამონათვალის გაცემა მოხდება ყოველდღე 10-დან 17 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა, შემდეგ მისამართზე:

თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 37, III სართული. ს.ს. "მინა"-ს მარკეტინგის განყოფილება.

ტელ/ფაქსი 94-24-95; 91-28-67

წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 5 მარტი 2004წ.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ს.ს."მინა"-ს შესყიდვებისა და ლოგისტიკის განყოფილებას.

საკონტაქტო პირი გიგა ჯანგველაძე
ტელ: 94-03-18 შიდა ნომერი 126.

სწავლა დიდ ბრიტანეთში

ბრიტანეთის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული საგანმანათლებლო სააგენტო "ი ელ ელი" (ELL Ltd) ვთავაზობთ სწავლას დიდი ბრიტანეთის (ლონდონი, ოქსფორდი, კემბრიჯი, ბრაიტონი და ა.შ.) უნივერსიტეტების მოსამზადებელ პროგრამებზე და ინგლისური ენის სკოლებში.

ენის სასწავლო პროგრამები:

- ინგლისური ენა ზოგადი, ინტენსიური და საგამოცდო (IELTS, TOEFL, FCE, CAE) 2-12 თვიანი კურსები.
- ინგლისური ენის მასწავლებლობა 2-4 კვირიანი საგანმანათლებლო კურსები.
- სამაგისტრო სკოლა ინდივიდუალური ან ჯგუფური სწავლა და დასკვნა მოსწავლეთათვის და მონადირეთათვის 2 კვირიდან 3 თვემდე (ჯგუფების დროშეგება 1 მისამდე).
- Work Experience/Internship ინგლისური ენის კურსი და სამუშაო გამოცდების მიღება კომპანიებში, სათანადო სერტიფიკატის მიღებით, 2 თვიდან 1 წლამდე.

საინჟინერო პროგრამების პროგრამები:

- A-Level 10-11 კლასეთათვის და სკოლადასრულებულითათვის 1-დან 2 წლამდე.
- Foundation სკოლადასრულებულითათვის 1 წლით, MBA 1 წლიდან 2 წლამდე.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: თბილისი, ი. ჭავჭავაძის მრ. 74, 12-ე სართული. ტელ: 22 59 57; 29 91 78; მობ.: 899 50 40 12
ელ-ფოსტა: Nargiza_makatsaria@hotmail.com

სწავლა ლონდონში

საქართველოში ფასად

ტექნოლოგია და მენეჯმენტი სკოლა (ლონდონი) კონვერსიის მოსამზადებელ შემდეგ პროგრამებს ფრენდება ტექნოლოგია და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი ჭავჭავაძის ქუჩის ბრიტონი. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის დონის სასწავლებელია თავმოყრილი. პროგრამები ზედალარის ხარისხის მოსამზადებელ ხორციელდება სანდერლენდის (კერძო ინჟინერიის სკოლა) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსამზადებელ ხორციელდება ისტ ლონდონის (კერძო ინჟინერიის სკოლა) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელნადმი საბერ (სოფლური / აბრილი / აგრიკულტურა). მოწოდებული დანების თარიღი 2004 წლის 3 აპრილი.

MBA მენეჯმენტი / მენეჯმენტი / IT
კომპიუტერული კომპანიები / HRM
პროგრამის ხანგრძლივობა

MSc საინჟინერო პროგრამები
კომპიუტერული სისტემების ინჟინერია
ინჟინერია (ინჟინერია)

£3950 სასწავლებლის ფასად

ბრუნების ან ბრუნის ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფრენდება ზედალარის ხარისხის მოსამზადებელ 2-წლიანი დამატებითი კურსის - BA (Hons) მიღებით ლონდონში.

ჯამით აღინიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია იტალიის ბანკში

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი £ 1000 გადახდის შემდეგ.

იმ სტუდენტებისთვისაც, რომლებიც მალე იყავით სწავლებით არა აქვთ, ხელსაწყოების მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
ნინა მუხომეილი / ტექნოლოგია და მენეჯმენტის მომსახურების განყოფილება
მის: თბილისი, მჭეთის 2, საგარბო 1, ოფისი 1.
ტელ: 253045, 230284 მობ. 893-352067
E-mail: stmgorgia@hotmail.com
www.stmlondon.co.uk

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი "შვილი" გთავაზობთ:


კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თქვენთვის:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათვისება - MS Word.
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება - MS Word.
- აღრიცხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები - MS Excel.
- დოკუმენტი ქვედასტრუქტურული დოკუმენტაცია.
- ინტერნეტის სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.ქვინაძის № 72 გვ.29-48-61

საბავშვო გაზეთი 12-მდე

მარტი, მარტი, მარტი, მარტი
გამარჯვებული ნომრები:



09005662
09005829
09004403
09004003
09004229
09000479
09000069
09005220
09002697
09004397
09001580
09005665
09004846

10003001
10000619
10006320
10003366
10006293
10003516
10005992
10002144
10004718
10003680

08005839
08000566
08005934
08004426
08002964
08000110
08002262
08001055
08001979
08002814

ნამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ განუხებთ პროსტატიტს, ცისტაიტს, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებებს; როცა შეიმჩნევა მენეჯმენტული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვედის ბაგეთა მინეგება, სუნი ან გამოადენი; აგრეთვე ტკივილი ნელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ ნამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგესხნებათ.

"სალხინო" ანესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლცისტიტი), პეპტიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინეკოიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აკრობს პირის ღრუდან უსაბოგნო სუნს. ნამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

ნამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
ნამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) ლოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.